



მესტიის მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი განვითარების
დოკუმენტი (2020 - 2023)

2019 წელი



**MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK**



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



WITH FUNDING FROM
**AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION**



Empowered lives.
Resilient nations.

მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)“ და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)“ ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.



საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია



სარჩევი

წინასიტყვაობა.....	1
1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები.....	2
2. სიტუაციის ანალიზი.....	4
2.1 ძირითადი სოციალურ ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა.....	4
2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....	6
2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.....	10
2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა.....	14
2.5 განათლება, კულტურა და სპორტი.....	16
2.6 გარემოს დაცვა.....	17
2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა.....	19
3. SWOT ანალიზი.....	21
4. განხორციელების მექანიზმი.....	24
5. მონიტორინგი და შეფასება.....	32
დანართი.....	34

წინასიტყვაობა

მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ მთავარ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა პროექტის ფარგლებში შექმნილი „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით და უზრუნველყო დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის მაღალი ჩართულობა, ქალებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას მრავალფეროვანი აუდიტორიის მონაწილეობა და ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

მესტიის მუნიციპალიტეტის ხედვა ეფუძნება კუთხისა და მისი სტრუქტურული განვითარების მრავალმხრივ ანალიზს, შესაბამის ფაქტობრივ და სიტუაციურ დიაგნოსტიკას, რომელიც განხორციელდა წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში, სათანადო მეთოდოლოგიისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენების ჩართულობის საფუძველზე. იგი, არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსების გათვალისწინებით დამყარებულია მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე, მის პოტენციალზე. გამომდინარე იქიდან, რომ მესტიას გააჩნია უდიდესი ტურისტული პოტენციალი, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, რაც საბოლოო ჯამში დადებით სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტს იძლევა არამხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაზე, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ზემო სვანეთის ისტორიული მხარე გამორჩეულია მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით, შენარჩუნებული ბუნებრივი ეკოსისტემებით, ლამაზი ლანდშაფტებით, მატერიალური და არამატერიალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით, ბუნებასთან ჰარმონიულად შერწყმული კოშკოვანი დასახლებების სისტემითა და განაშენიანების სტრუქტურით, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ტრადიციული ცხოვრების წესით, თვითმყოფადი კულტურით, საეკლესიო და ხალხური დღესასწაულების უწყვეტი ტრადიციით. გამორჩეულია ქრისტიანული ტაძრები, შუასაუკუნეების უნიკალური ფრესკები, მთის უნიკალური არქიტექტურა და საყოფაცხოვრებო ნაგებობები, რომლებიც მიჩნეულია ქართული ხუროთმოძღვრების შედევრებად. ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების, ტურიზმის განვითარების, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისა და კუთხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელია რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

- კარგად განვითარებული ტექნიკური, ტურისტული და სოციალური ინფრასტრუქტურა.
- მუნიციპალიტეტის მატერიალური აქტივებისა და ბუნებრივი რესურსების გონივრული განვითარება და გამოყენება.
- ტურისტული ინდუსტრიის მრავალმხრივი განვითარება.
- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა.
- სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მეწარმეობის განვითარება.
- შრომითი რესურსების უწყვეტი გადამზადება და კარგად განვითარებული ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო სისტემა.
- დაცული ტერიტორიების, რეკრიაციული და საკურორტო სისტემების ჩამოყალიბება.
- ეფექტიანი მმართველობა და ძლიერი სამოქალაქო სექტორი.

აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების ხედვაა: 2023 წლისათვის მესტიის მუნიციპალიტეტი გახდეს ერთ-ერთი სწრაფად მზარდი კუთხე საქართველოში თავისი მდგრადი ეკონომიკითა და სოციალური მდგომარეობით. მისი

მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

მახასიათებლები იქნება: არსებული აქტივების გონივრული მართვისა და ეფექტიანი გამოყენების გზით, მძლავრად განვითარებული ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებისა და მცირე ბიზნესის სფეროები, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი და განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული ბაზრების ათვისებას, გაზრდის შემოსავლებს და ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. პრიორიტეტული გახდება ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური და მაღალხარისხიანი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკის როლი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის საქმეში.

მუნიციპალიტეტის მიზნები და ამოცანები

მიზანი 1.	მოსახლეობის საცხოვრებელი და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება
ამოცანა 1.1	საკომუნიკაციო და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
ამოცანა 1.2	გასართობი და დასასვენებელი გარემოს შექმნა
ამოცანა 1.3	სოციალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების შექმნა/გაუმჯობესება
ამოცანა 1.4	მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა
მიზანი 2.	მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა
ამოცანა 2.1	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა
ამოცანა 2.2	ტურიზმის განვითარება და ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება
ამოცანა 2.3	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის წახალისება
ამოცანა 2.4	უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა და მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლება
მიზანი 3.	მდგრადი განვითარება გარემოს დაცვითა და ეკოსისტემის შენარჩუნებით
ამოცანა 3.1	უნარჩუნო წარმოების მხარდაჭერა
ამოცანა 3.2	გამწმენდი და სხვა სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა
ამოცანა 3.3	ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ამაღლება

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1 ძირითადი სოციალურ ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

მესტიის მუნიციპალიტეტი საქართველოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ზღვის დონიდან 1500 მ-ზე მდებარეობს. მისი ფართობი 304,5 ათ ჰა-ს შეადგენს. აქედან სასოფლო სამეურნეო სავარგულებს 94,3 ათ ჰა უკავია, რომელიც მთელი ტერიტორიის 30,9%-ს შეადგენს, ხოლო 46 %, 137,5 ჰა კი ტყის ფართობს. მუნიციპალიტეტი საქართველოში ყველაზე მაღალმთიან და მცირემიწიან კუთხეს წარმოადგენს.

მესტიის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთიდან ლენტეხი, სამხრეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით აფხაზეთი, ჩრდილოეთით კი ყარაჩაი და ბალყარეთი (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა) ესაზღვრება.

მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარ მდინარეს ენგური წარმოადგენს. მდინარეები ენგური, მესტია ჭალა, ნენსკრა, და სხვა საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ რესურსს წარმოადგენენ.

მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულში 200-მდე მცინვარია, რომელთა საერთო ფართობი 285 მ²-ს შეადგენს, მათ შორისაა კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები: შხარა (5 201 მ), თეთნულდი (4 974 მ), უშბა (4 710 მ), შხელდა (3 820 მ).

მესტიიდან მანძილი თბილისამდე 477 კმ-ია, ქალაქ ზუგდიდამდე კი, სადაც უახლოესი სარკინიგზო სადგური მდებარეობს 138 კმ. უახლოესი საჰაერო ქალაქი ფოთი კი მესტიიდან 226 კმ-ზეა. მანძილი სამთო სათხილამურო კურორტ თეთნულდამდე მესტიის ცენტრიდან 15, ხოლო ჰაწვალამდე 8 კმ-ია. მესტიის აეროპორტი ცენტრიდან 2 კმ-ში მდებარეობს.

მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 1 დაბის და 162 სოფლის ტიპის დასახლება, რომლებიც გაერთიანებული არიან 1 სადაბო და 17 თემის ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოში.

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი (იხ. დანართი), რაც დამატებით მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას თუ ბიზნეს სექტორს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 9,5 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 3%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 20%-ია, ხოლო 80% ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის 49.9% ქალი და 50,1% მამაკაცია. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) სტაბილურად რჩება ერთ დონეზე და არ ახასიათებს მზარდი ან კლებადი დინამიკა. მოსახლეობა შემცირებულია 2009 წელთან შედარებით 28.6%-ით, მაგრამ გაზრდილია 2015 წლის მონაცემებთან შედარებით 17.8%-ით. სტაბილური ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვეც ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენს 3,1 კაც/კვ.კმ-ზე.

მოსახლეობის საშუალო ასაკი 39,5-ია მათ შორის ქალების 42,5, მამაკაცების 36,5 წელი. მესტია მოსახლეობის სიმჭიდროვის თვალსაზრისით ერთერთი ყველაზე მეჩხერად დასახლებულ რეგიონს მიეკუთვნება, თითქმის 16 ჯერ ჩამოუვარდება ქვეყნის მაჩვენებელს.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე გაიზარდა 4%-ით და მიაღწია 501 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა 1%-ით (2 005 კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 80%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 2%-ია და 16%-იანი ზრდით ხასიათდება (2015- 2018წწ.).

მესტიის მუნიციპალიტეტში საშიში პროცესების განვითარებას განაპირობებს მისი გეოლოგიური აგებულება, რთული ტექტონიკა, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და სპეციფიკური კლიმატურ-მეტეოოლოგიური პირობები. აქ ხშირია ისეთი მოვლენები, როგორცაა მეწყერი, ზვავი, ქვათაცვენა, ღვარცოფი, წყალმოვარდნა და მდინარეების ადიდება.

წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები. მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ბარიტი, მარმარილო, ტყვია-თუთია, მოსაპირკეთებელი კირქვა, სახერხი ქვისა და ღორღის ნედლეული. რეგიონში უხვად მოიპოვება მინერალური წყლები, რომლებიც სამკურნალო თვისებებით ხასიათდებიან. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო არ ხდება მათი გამოყენება. (აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, კვედილაშის მუხავე წყალი მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში გამოიყენებოდა, როგორც ბანეოლოგიური კურორტი სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ).

მესტიის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, აქ მდებარეობს რეგიონში ყველაზე გრძელი მდინარე ენგური (213 კმ.). ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო ამ რესურსების გამოყენება და მიმდინარეობს მცირე და საშუალო ზომის ჰესების მშენებლობა მესტია ჭალაზე, ნენსკრაზე, მდ.ნაკრაზე. მდ.ლახამზე, მდ. კასლეთზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 46. % ტყეს უკავია და ტყის ფონდი 137.5 ჰა-ია. ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი დაქანების ფერდობებზეა განფენილი და გარდა სამრეწველო დანიშნულებისა ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქცია გააჩნიათ. ფოთლოვანი სახეობათა მაგარმერქნიანი ჯიშებიდან ძირითადად გვხვდება წიფელი, მუხა და რცხილა, ხოლო რბილმერქნიანი, წიწვოვანი ჯიშებიდან ნაძვი, ფიჭვი და სოჭი.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სტრუქტურებში საშუალოდ დასაქმებულია 1,764 კაცი, კერძო სტრუქტურაში 1338 პირი, თვითდასაქმებულთა რაოდენობა 1665 -ს შეადგენს, შრომისუნარიანი მოსახლეობის 72,4% დასაქმებულია. უმუშევრობა კი 27,6% -ია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი 60,2%-ია.

მესტიის მინიციპალიტეტში 2017 წელს 176 ბავშვი დაიბადა 2018 წელს კი 155 ბავშვი. ბოლო წლების განმავლობაში იკლო მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, მოსახლეობის მატება კი ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უკან დაბრუნების პროცესით.

2019 წლის ოქტომბრისათვის მესტიაში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა 997-ია, 2,008 პირი პენსიონერი და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებია, 155 პირი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 27 ბენეფიციარი ეტლით მოსარგებლეა.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალურ ჭრილში არ არის ხელმისაწვდომი უმუშევარ პირთა რაოდენობის მოძიება, გამოყენებული იქნა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური მონაცემები და სხვადასხვა კვლევები, რომლებიც ტარდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის, ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კერძო საქმიანობის სტიმულირება, ინვესტიციების მოზიდვა და ახალი, გრძლევადიანი სამუშაო ადგილების შექმნა, პრიორიტეტული მიმართულებებია. მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში წარმმართველი და ყველაზე მეტად განვითარებული ტურიზმის სექტორია, რომელიც ძირითადად სათავგადასავლო, სპორტული (სათხილამურო და მთამსვლელობის) კულტურულ-შემეცნებითი, გასტრონომიული და ეკო მიმართულებით ვითარდება. მზარდი ტურიზმის პირობებში, რომელიც სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის თვითდასაქმების ერთ-ერთ უძლიერეს ბერკეტს წარმოადგენს. განვითარდა ბიზნეს სექტორიც სხვადასხვა მიმართულებით (სასტუმრო, სარესტორნო, სატრანსპორტო და სხვა).

მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური წლებითა და ჰიდროლოგიური რესურსებით. აქ ენერგეტიკის განვითარების, მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობის დიდი პოტენციალი არსებობს ასევე შესაძლებელია სამკურნალო გამაჯანსაღებელი სანატორიუმის ტიპის დაწესებულებების შექმნა.

მუნიციპალიტეტს გააჩნია შესაძლებლობა განავითაროს ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, ხე-ტყის სახერხი საამქროების ბაზაზე შეიქმნას უნარჩუნო წარმოება. სოფლის მეურნეობის მიმართულებით განვითარებულია მეცხოველეობა, მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის ითესება მარცვლეული კულტურები და კარტოფილი. მესტიას ალპინიზმის დიდი ტრადიცია აქვს და იგი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს, აქ გადის მაღალმთიანი ტურისტული მარშრუტები ნაკრის, ბეჩოს და ლატფარის უღელტეხილებზე.

სოფლის მეურნეობა. მესტიის მუნიციპალიტეტი საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალმთიან და მცირემიწიან კუთხეს წარმოადგენს. იგი ხასიათდება ძლიერ დანაწევრებული რელიეფით, დიდ შეფარდებითი სიმაღლეებითა და ღრმა ხეობებით. მისი გეოგრაფიული მდებარეობა და მძიმე კლიმატურ მეტეოროლოგიური პირობები არ იძლევა

სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი განვითარების საშუალებას, მაგრამ წარმოებული პროდუქცია არის ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური.

მესტიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი 942 263 ჰექტარია, რაც მთელი ტერიტორიის 31,9 %-ია. მათ შორის 1,793 ჰა კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი 92 470 ჰა კი სახელმწიფო საკუთრებაში. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს დარეგისტრირებული არ აქვს მიწა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის 96,3%, ანუ 90 799 ჰა მოდის საძოვრებსა და მთის იალაღებზე, რომელიც მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია, სათიბების ფართი 2 077 (2,2%) ჰექტარია, ხოლო სახნავ-სათესი მიწის ფართი 1 014 ჰა-ს შეადგენს. სახნავი და სათიბი მიწის ფართის 100% კერძო საკუთრებაშია. საკარმიდამო მიწის ნაკვეთის კატეგორიაში ფიქსირდება 383 ჰა, რომლის 68% ფართზე ანუ 261 ჰა-ზე განთავსებულია მრავალწლიანი ნარგავები, ხოლო 122 ჰა გამოყენებულია, როგორც სახნავი.

მემცენარეობა: მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და მძიმე კლიმატურ მეტეოროლოგიური პირობები არ იძლევა მემცენარეობის სხვადასხვა დარგის განვითარების საშუალებას. აქ ძირითადად ითესება კარტოფილი, სიმინდი, ლობიო.

2018 წლის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტში ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობმა 477,2 ჰა შეადგინა, აქედან კარტოფილი დათესილი იყო 472 ჰა-ზე და მიღებული იქნა 4728 ტ მოსავალი, სიმინდი და ლობიოს საშუალო მოსავლიანობამ 10,2 ტ შეადგინა და 22,15 ჰა-დან 225 ტ. მოსავალი იქნა მიღებული, ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი იყო 1,85 ჰა. სხვადასხვა კულტურები კი დათესილი იყო 2,5 ჰა-ზე. აუთვისებელი და გამოუყენებელი სავარგულების ხვედრითი წილი 11,8%-ს ანუ 56,2 ჰა-ს შეადგენს.

მრავალწლიანი ნარგავებიდან მესტიის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია კაკლოვანი კულტურები: კაკალი და თხილი. კაკალი გაშენებულია 30 ჰექტარზე თხილი კი 1 ჰექტარზე. კაკლის საშუალო მოსავლიანობა მიახლოებით 2 ტონაა და 2018 წელს მიღებულ მოსავალმა 60 ტონას მიაღწია. თხილის მოსავალმა კი 0,85 ტ.

მემცენარეობიდან საშუალო წლიური შემოსავალი 5 162,4 ათ ლარია, რომლის უმეტესი წილი 78,5 % 4 050,5 ათ. ლარი კარტოფილის და 26,7% -დაახლოებით 1 380 ათ ლარი კაკლის მოსავლიდან არის მიღებული.

მესტიის მუნიციპალიტეტში ძალიან დაბალია მემცენარეობის პროდუქტიულობა, რასაც განაპირობებს მოძველებული და ამორტიზებული გენეტიკური მასალა, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზებულობა, არასათანადო ფინანსური რესურსი და შრომის დაბალი ორგანიზებულობა. ასევე პროდუქციის რეალიზაციის გართულებული პირობები. მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით აუცილებელია რეგიონში ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების, მიმღები და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

მესტიის მუნიციპალიტეტში, აუთვისებელი ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთ სეგმენტს წარმოადგენს ზემო სვანეთის ხეობაში ბუნებრივად გავრცელებული სამკურნალო და

გამაჯანსაღებელი მცენარეების მცირე, ადგილობრივი მეურნეობების მასშტაბის ფარგლებში ათვისება. მცირე სათემო მეურნეობების განვითარების კუთხით აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა არის პრინციპული, რადგან ზემოთ ხსენებული, ეკოსისტემური სერვისი არის მდგრადი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოდან აღნიშნულ მცენარეთა სახეობების ამოღების პროცესი არ არის არსებული ეკოსისტემისთვის დამაზიანებელი. გავრცელებულ, სასარგებლო მცენარეთა სახეობებს მოსახლეობა, ისედაც იყენებს ძირითადად საკუთარი საჭიროებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მოპოვებისა და გამოყენებისთვის გარკვეული ცოდნა და დაგროვილი გამოცდილება/ტრადიცია უკვე არსებობს, რომლის სწორად განვრცობისა და განვითარების შემთხვევაში რესურსი შეგვიძლია ვაქციოთ ეკონომიკურ სარგებლად, რომელსაც საზოგადოებაზე ექნება, აგრეთვე გამაჯანსაღებელი ზემოქმედება. ვინაიდან, აღნიშნულ მცენარეთა სახეობებს გააჩნიათ სხვადასხვა სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ეფექტი, როგორც გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული, შარდის გამომყოფი და რეპროდუქციული სისტემებისათვის, ასევე, ანთების საწინააღმდეგო და თავისუფალი რადიკალების გამაუვნებელი ზემოქმედება (იხ. დანართი).

მეცხოველეობა: მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2018 წლის ბოლოსთვის აღირიცხებოდა 8870 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (6340 ფური), 1305 ღორი, 1182 სული თხა და ცხვარი, 3499 ფრთა ფრინველი და 3089 ოჯახი ფუტკარი.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობა ბოლო წლების განმავლობას საგრძნობლად თითქმის 18-20%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა დაავადების გავრცელებით. მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურად მიმდინარეობს ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ სამკურნალო ღონისძიებები.

მეფუტკრეობა: მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოსახლეობას მოშენებული ჰყავს 3089 ოჯახი ფუტკარი, აქ წარმოებული თაფლი გამოირჩევა მაღალი ხარისხით, გემოთი და თვისებებით, მაგრამ განსაკუთრებული კლიმატური პირობების გამო მხოლოდ ერთი მოსავლის მიღებაა შესაძლებელი.

მეთევზეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თევზსაშენი ტბორიდან, რომლის სარკის ფართობი 0,14 ჰა-ს შეადგენს, წლის განმავლობაში იწარმოება 2-2,5 ტონა თევზი, ასევე არსებობს საკალმახე მეურნეობა.

მუნიციპალიტეტში დარგის განვითარებას ხელს უშლის რიგი ფაქტორები, მათ შორის:

- აუთვისებელი სავარგულები და საძოვრები, და მისასვლელი გზების მდგომარეობა;
- მიმღები, შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოების არ არსებობა ამცირებს მოსახლეობის მოტივაციას გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები;
- პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

იმისთვის, რომ დარგის განვითარებას მეტად შეეწყოს ხელი სასურველია:

- მთის საძოვრებამდე გზების მიყვანა, რათა შესაძლებელი გახდეს ახალი ტერიტორიების ათვისება და გამოყენება, როგორც სათიბები და ზაფხულის

სამოვრები. მოსახლეობას ექნება საშუალება დამატებითი რესურსის ბაზაზე გაზარდოს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, მით უმეტეს, რომ ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება ნატურალურ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე;

- პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა გაზრდის მოსახლეობის ინტერესს აწარმოოს მეტი პროდუქტი და მიიღოს მეტი შემოსავალი.

არასასოფლო სამეურნეო საქმიანობა მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური როლი რეგიონში მცირეა, ვინაიდან მესტიის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს შეადგენენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონალური ინფორმაციის გამოყენება მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის დასახასიათებლად სასურველ შედეგებს არ მოგვცემს.

მესტიის მუნიციპალიტეტის სამრეწველო საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომისაა და ძირითადი სამრეწველო პროდუქტი ხე-ტყის გადამამუშავებაა. დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 124 სახერხი საამქრო. იგეგმება 3 მსხვილი ხე-ტყის უნარჩუნო საწარმოო შექმნა, რომლისთვისაც ინვესტიციის სახით ჩაიდება 6 000 ათ ლარი.

კერძო სექტორის ყველაზე დიდი წილი ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სფეროებზე მოდის. ნაკლებად მომგებიან საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორს (20%) უკავია. ხოლო სახმელეთო ტრანსპორტის სექტორს 8%.

მუნიციპალიტეტში დაფინანსების მოპოვება 2013 წლიდან დღემდე შეძლო მხოლოდ სამმა რძის გადამამუშავებელმა საწარმომ, ერთმა მესაქონლეობის დარგში მოღვაწე საწარმომ და 9 კოოპერატივმა (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოდან). მესტიის მუნიციპალიტეტიდან სოფლის მეურნეობის პროექტებისგან განსხვავებით, უწყების „აწარმოე საქართველოში“ პროექტებზე მიმართვიანობა შედარებით მაღალია. უწყების მიერ 2016 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 338 პროექტი, რომელთაგან ამჟამად ფუნქციონირებს 239 ბიზნესი. არსებული ბიზნესების მიერ ჯამში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 1,254 ადამიანს.

მესტიის მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის მხარდაჭერა ხორციელდება შემდეგი დონორი ორგანიზაციების მიერ: აზიის განვითარების ბანკი; ევროკავშირი/ENPARD III/LEADER პროექტი; ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა; იაპონიის საელჩო; პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვან დარგად ითვლება ტურიზმი, რასაც წინ უძღვოდა აქტიური პოზიციონირება როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მესტიის მუნიციპალიტეტი თავისი ბუნებით და სანახაობებით ძალიან მიმზიდველია ადგილობრივი და უცხოელი დამსვენებლებისთვის. ტურისტული პერიოდი აქ წლის ოთხივე სეზონს მოიცავს. განვითარდა სამთო ტურიზმი და აშენდა ორი სამთო კურორტი გაიხსნა სათხილამურო ტრასები, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში.

ზღვის დონიდან 1500 მ-ზე მდებარე, მთებით გარშემორტყმული მესტია ზემო სვანეთის ადმინისტრაციული და ტურისტული ცენტრია. მუნიციპალიტეტში შემონახულია უნიკალური ხატები, უძველესი ხელნაწერები და სხვა რელიკვიები, რომლებიც დღეს სვანეთის ეკლესიებსა და მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. სვანეთისა და ევროპის ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტი უშგული ზღვის დონიდან 2060-2200 მეტრზე მდებარეობს. ამჟამად იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში შესული ჩაჟამი მუზეუმად არის გამოცხადებული, რადგან მის ტერიტორიაზე უნიკალური არქიტექტურული და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა - 30-ზე მეტი ტრადიციული სვანური კოშკია შემორჩენილი. სოფლის სამხრეთით დგას XII-XIII საუკუნეების ციხესიმაგრე, რომელიც უშგულის ოთხივე სოფელს გადაჰყურებს. ეს და სხვა კულტურული მემკვიდრეობა, რაც მუნიციპალიტეტში უხვად არის, ტურიზმის განვითარების კარგ პოტენციალს ქმნის.

ხანგრძლივი თოვლის საფარი ძვირფასი რეკრეაციული რესურსია და სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისთვის იდეალურ პირობებს ქმნის. ამის გათვალისწინებით, მესტიიდან 7 კილომეტრში, ჰაწვალზე, 2010 წელს სამი სათხილამურო ტრასა, 2016 წელს კი გაიხსნა სამთო კურორტი „თეთნულდი“, სადაც სათხილამურო ტრასები სხვადასხვა კატეგორიისაა და განკუთვნილია, როგორც პროფესიონალებისთვის ასევე მოყვარულებისთვის.

მუნიციპალიტეტში მოწყობილია 40-მდე საფეხმავლო ბილიკი და აღწერილია ამ მარშრუტებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და საინტერესო ობიექტები.

ტურიზმის უდიდესი ხელშემწყობი ფაქტორია ის გარემოება, რომ სვანეთი უძველესი და საინტერესო კულტურის მქონე მხარეა. აქ ერთმანეთს ერწყმის წარმართული და ქრისტიანული რიტუალები, წეს-ჩვეულებები და ახალ, თვითმყოფად სახეს იღებს. დღემდეა შემორჩენილი საუკუნოვანი სახალხო დღესასწაულები. (კვირაცხოვლობა, კვირიკობა), აღსანიშნავია სვანური ფოლკლორი ცეკვით, მაღალ მხატვრული პოეზიითა და სიმღერით.

ტურიზმის განვითარების პარალელურად ვითარდება მისი თანმდევი ბიზნესი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 მაღალი დონის და 600-მდე საოჯახო სასტუმრო. რომელთა დიდი ნაწილი 36.9% დ. მესტიაშია განთავსებული. მუნიციპალიტეტს ერთდროულად 8,500-8,700 სტუმრის მიღება შეუძლია. აქვე ფუნქციონირებს 24 რესტორანი და 45 კაფე-ბარი.

ადგილობრივი მოსახლეობა ტურისტებსა და დამსვენებლებს ამავე დროს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს, როგორცაა საცხენოსნო ტურები, პარაპლანით ფრენა და სხვა.

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურა: მესტიის მუნიციპალიტეტში გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე 182 კმ-ია. აქ გადის ზუგდიდი-მესტია-ლასდილის

(მონაკვეთი 30-198კმ) საავტომობილო გზა 168 კმ, რომლის 152 კმ-იანი მონაკვეთი დაფარულია ბეტონის საფარით, დანარჩენზე მიმდინარეობს მუშაობა. ბეტონის საფარია მოწყობილი ჭუბერის ტერიტორიული ერთეულის მიმდებარე ხაიში-ჭუბერი გზის 3 კმ-იანი მონაკვეთი და მესტია-ჰაწვალის გზის 6 კმ-იანი მონაკვეთი, ხოლო ბეჩო-შიხრის საავტომობილო გზაზე (7კმ) დაიგო ასფალტის საფარი. მოსაწყობია ჭუბერი-საკენის მიმართულებით 3 კმ-იან მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარი.

მესტიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 727 კმ-ს შეადგენს. დ. მესტიის ქუჩების 45% დაფარულია ბეტონის საფარით, მიმდინარეობს 3,4 კმ. საერთო სიგრძის, 15 ქუჩის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 538.0 ათ ლარს შეადგენს.

რკინაბეტონის საფარი დაგებულია სოფელ მულახში 1,5კმ-ზე და მიმდინარეობს 2კმ-იანი საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. დაგეგმილია სოფელ ცხუმარის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ტერიტორიული ერთეულების დ.მესტიასთან დამაკავშირებელი გზების უმეტესი ნაწილი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ცენტრალურ გზაზე გადის, ხოლო სოფლებამდე მისასვლელი და სოფლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი, ასევე შიდა სასოფლო გზების ძირითადი ნაწილი გრუნტის გზაა და მათზე გადაადგილება ხშირად პრობლემური ხდება.

ხიდები. მესტიის მუნიციპალიტეტის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე არსებული ხიდების უმეტესი ნაწილი (30-165კმ) მოწესრიგებულია და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. უშგული ლასდილის ტერიტორიაზე კი 3 ხიდი საჭიროებს შეკეთებას, რომელიც უნდა უზრუნველყოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახიდე გადასასვლელები ძირითადად ხის მასალისგან შენდებოდა, ბოლო წლების განმავლობაში გამოიცვალა და აშენდა 25 -მდე ახალი რკინის ხიდი, დაგეგმილია ეტაპობრივად ყველა ხიდის გამოცვლა. მიუხედავად იმისა, რომ რკინის ხიდების მშენებლობა დიდ ფინანსურ რესურსთან არის დაკავშირებული, სამაგიეროდ იზრდება მათი ექსპლოატაციის ვადა და იზოგება ხე-ტყე, რომელიც დიდი ოდენობითაა საჭირო ხიდის მშენებლობისთვის.

2019 წელს მესტიის მუნიციპალიტეტში გზებისა და ხიდების ნაწილს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. მიუხედავად გაწეული მუშაობისა გზების ამჟამინდელი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს და მოთხოვნებს, მომავალში კვლავ იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელთა უმეტესი ნაწილი მოხმარდება გზების (სადაბო და შიდასასოფლო) და ხიდების რეაბილიტაციას.

წყალმომარაგება: ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა შემკრები და გამწმენდი სათაო ნაგებობებით მოწყობილია მხოლოდ დ. მესტიაში, სადაც წყალმომარაგებას ახორციელებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვისცენტრი. წყალმომარაგების ქსელი გაკეთდა უშგულში, ხაიშში, ივარში, ეცერსა და ლატალის 11 სოფლიდან 3 სოფელში, სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქმედებს კუსტარულად მოწყობილი წყლის სისტემები და მოსახლეობის 64,6% ბუნებრივი წყაროებიდან მიღებული

წყლით მარაგდება. საკანალიზაციო ქსელი მოწყობილია მხოლოდ დ. მესტიაში და ს.ფარში. ს. ფარში არ არის გამწმენდი ნაგებობა და საკანალიზაციო სისტემა პირდაპირ მდინარეში ჩაედინება.

მიმდინარე წელს მოეწყო წყალარინების სისტემები ცხუმარის, ეცერის (ს.ებუთი) და ლატალის ტერიტორიულ ერთეულებში, რომელიც ეტაპობრივად გაგრძელდება და მოეწყობა ყველა სოფელში.

2020 წელს დაგეგმილია სოფლების წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო ქსელის საპროექტო სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა და შესაბამისი ქსელების მოწყობა, რომელიც კვლავ გაგრძელდება ეტაპობრივად.

ტრანსპორტი. მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება კერძო პირების მიერ, მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობის გამო. 2020-2021 წლებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილია 2 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შექმნა და დაინიშნება მარშრუტები სოფლებში.

ელექტროენერჯია და ბუნებრივი აირი: მუნიციპალიტეტის უმეტესი ნაწილი უზრუნველყოფილია ელექტროენერჯიით და დენის მიწოდება შეუფერხებლად ხდება, თუ არ გავითვალისწინებთ სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეულ გამორთვებს. არსებობს მაღალი ძაბვის ხაზების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. მაღალი ძაბვის ბოძების და სადენების უმეტესი ნაწილი მოძველებულია და საჭიროა მათი გამოცვლა.

მუნიციპალიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა გარე განათების ქსელის მოწყობასა და მის გაუმჯობესებაზე, რომელსაც ემსახურება გარე განათების სამსახური. დღეის მდგომარეობით გარე განათების პრობლემა მოგვარებულია დ.მესტიაში, ლენჯერში, ხაიშში, ეცერსა და ბეჩოში. მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელდა 242 391 ლარის სამუშაოები ელექტროენერჯიით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით.

მუნიციპალიტეტი არ არის გაზიფიცირებული. ხე-ტყისა და ელექტროენერჯიის დაზოგვის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს თხევადი გაზის სადგურების მშენებლობა.

სახანძრო და სამაშველო სამსახურები: მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახანძრო და სამაშველო სამსახურები, რომელთაც ემსახურებათ სპეციალური სახანძრო (2 ერთეული) და სამაშველო მანქანები, მაგრამ მათი მატერიალურ ტექნიკური ბაზა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

კავშირგაბმულობა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება ფიჭური კავშირგაბმულობის მობილური ქსელები. ინტერნეტ კომუნიკაცია ხორციელდება პროვაიდერი კომპანია „მიკრონეტის“ და მობილური ქსელების (მოდემები) მეშვეობით.

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა. მესტიის მუნიციპალიტეტს ტურიზმის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია და მნიშვნელოვნად განვითარებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან ერთად სულ უფრო მეტ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს. აქ ფუნქციონირებს „ჰაწვალის“ და „თეთნულდის“ სამთო სათხილამურო კურორტები. სათხილამურო ტრასები სხვადასხვა

კატეგორიისაა და განკუთვნილია, როგორც პროფესიონალებისთვის ასევე მოყვარულებისთვის. კურორტ ჰაწვალის ტრასების საერთო სიგრძე 2950 მეტრია. კურორტი „თეთნულდის“ სათხილამურო ტრასის მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 3160 მეტრია. იგი ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი (9,5კმ) და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონეა (1,7კმ). აქ დამონტაჟებულია ოთხი, ორი ღია და ორი ბაზლის ტიპის საბაგირო. კურორტი თეთნულდი გამოირჩევა ყველაზე ხანგრძლივი სათხილამურო სეზონით. ორივე კურორტზე მოწყობილია უფასო ავტოსადგომი.

მოწყობილია 40-მდე საფეხმავლო ბილიკი და აღწერილია ამ მარშრუტებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და საინტერესო ობიექტები.

ტურიზმის განვითარების პარალელურად ვითარდება მისი თანმდევი ბიზნესი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 43 მაღალი დონის და 407 საოჯახო სასტუმრო, რომელთა დიდი ნაწილი 36.9% დ.მესტიაშია განთავსებული. მუნიციპალიტეტს ერთდროულად 8500-8700 სტუმრის მიღება შეუძლია. აქვე ფუნქციონირებს 24 რესტორანი და 45 კაფე-ბარი.

ადგილობრივი მოსახლეობა ტურისტებსა და დამსვენებლებს ამავე დროს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს, როგორცაა საცხენოსნო ტურები, პარაპლანით ფრენა და სხვა. დ. მესტიაში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.

მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი პრობლემები, რომელსაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის უნდა უპასუხოს არის შემდეგი:

- მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობა;
- წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების არარსებობა;
- ელექტროენერგიით მომარაგებაში არსებული შეფერხებები, მოძველებული ელექტროგადამცემი სადენები და ბოძები;
- ტურისტული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის არასათანადო განვითარება.

შესაბამისი საჭიროებებია:

- განვითარებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, უცხოელი ტურისტებისთვის რთულია გზებსა და გზაჯვარედინებზე ორიენტირება და აუცილებელია ტურისტული საგზაო ნიშნების განთავსება, ტურისტული რუკებისა და გზამკვლევების, მათ შორის მობილური აპლიკაციების არსებობა, რაც საგრძნობლად გაამარტივებს ტურისტებისთვის არჩევანის შესაძლებლობას;
- ახალი ტურისტულ-სარეკრეაციო პარკების მოწყობა უშუალოდ შხარის მყინვარამდე, ჭაალადის და შიხრის ტერიტორიაზე;
- ახალი საკურორტო ზონების მოწყობა ჰაწვალისა და კახურის ტერიტორიაზე;
- ბანლოლოგიური-სამკურნალო კურორტების შექმნა დ.მესტიაში აეროპორტის მიმდებარედ, სეტის და ადიშის მჟავე წყლების ბაზაზე;
- პანორამული გადასახედი მოედნების მოწყობა: უღვირის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფელ წვირმის შესასვლელთან, სოფელ ნაკრაში თავრალის ტერიტორიაზე და სხვა

ისეთ ადგილებში საიდანაც ჩანს სვანეთის ულამაზესი ბუნება მრავალფეროვანი ლანდშაფტებით, სხვადასხვა მყინვარები და ისტორიული ძეგლები;

- ტურისტული ავტოპარკების მოწყობა და მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება;
- ახალი საფეხმავლო მარშრუტების დამატება;
- სოფლად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა შესაბამისი სათაო, შემკრები და გამწმენდი ნაგებობებით.

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში ბოლო წლების განმავლობაში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად შემუშავებული სახელმწიფო პროგრამების, მათ შორის საყოველთაო და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების საქმეში, აქტიურად არის ჩართული შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება, რის შედეგადაც რადიკალურად შეიცვალა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი და მიწოდებული სერვისები უფრო მრავალფეროვანი გახდა.

გაერთიანება მოიცავს 22 ავადმყოფზე გათვლილ საავადმყოფოს და პოლილინიკას, სადაც ყოველწლიურად სამედიცინო მომსახურებას დაახლოებით 7200-7400 პაციენტი იღებს.

2018 წელს სამედიცინო მომსახურება გაეწია 7744 პაციენტს, რომელიც მოიცავდა არა მარტო მუნიციპალიტეტის მოსახლეობას არამედ უცხოელ ტურისტებსა და ადგილობრივ დამსვენებლებს.

საავადმყოფოს ემსახურება 26 ექიმი, მათ შორის: ქირურგი, ქირურგი-ენდოსკოპისტი, პედიატრი, თერაპევტი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, მეან-გინეკოლოგი. პოლიკლინიკის ნაწილში: პედიატრი, ქირურგი, თერაპევტი, ენდოკრინოლოგი, ონკოლოგი, ფტიზიატრი, ნერვოპათოლოგი, კოსულტანტები კარდიოლოგიასა და ფსიქიატრიაში. სულ 26 ექიმი: მათ შორის 15 ქალი, 11 მამაკაცი და 25 ექთანი.

მესტიის მუნიციპალიტეტში კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა ძალიან მცირეა, სადაზღვევო პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის დაზღვევას საბაზისო პაკეტით. ამდენად საავადმყოფო ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით და შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლებით.

სათემო ამბულატორიების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა: სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პირველადი ჯანდაცვის კომპონენტის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, დასახლებული პუნქტების მიხედვით ემსახურება მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, რამდენადაც პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მდებარეობა განისაზღვრება სამედიცინო მომსახურებაზე ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის დაცვის პრინციპით, რაც გულისხმობს სერვისების 15-წუთიანი ხელმისაწვდომობის ზონაში მიღების შესაძლებლობას მუნიციპალიტეტში

ფუნქციონირებს 14 სამედიცინო ამბულატორია (იხ. ამბულატორიების შესახებ ინფორმაცია დანართში).

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი ჯანდაცვის კომპონენტით მოსარგებლეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, მიმართვიანობის მაჩვენებელი, როგორც სხვა რეგიონებში მესტიისშიც დაბალია და ერთ სულ მოსახლეზე 2-3 ერთეულს შეადგენს.

ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2019 წელს გარემონტდა 6 ამბულატორია და მიმდინარეობს 3 ამბულატორიის მშენებლობა, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან თანამედროვე მოთხოვნებთან და მოწყობილია ადაპტირებული გარემო შშმ პირებისთვის.

სოფლებში არსებულ ამბულატორიათა ნაწილს სჭირდება რემონტი, არ არის მოწყობილი საკანალიზაციო სისტემები და სველი წერტილები. საჭიროა გაკეთდეს შშმ პირებისთვის ადაპტირებული ასასვლელები და გარემო.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში დაცულია პირველადი ჯანდაცვის გეგმით განსაზღვრული შეფარდება - 1:2000 (ერთი სოფლის ექიმი და ერთი სოფლის ექთანი ემსახურება 2000-ზე ნაკლებ მოსახლეს), სოფლის ექიმთან მიმართვები ერთ სულ სოფლის მოსახლეზე გაანგარიშებით, სხვა რეგიონების მსგავსად, მაინც დაბალია მაჩვენებელი 0,6-ს შეადგენს. აღნიშნულს განაპირობებს სუსტი კავშირი პირველადი ჯანდაცვის ობიექტებსა და ჰოსპიტალურ სექტორს შორის, რის გამოც პაციენტი ამჯობინებს უშუალოდ ჰოსპიტალს მიმართოს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ემსახურება სასწრაფო დახმარების 2 ბრიგადა, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველადი დახმარებისთვის საჭირო სამედიცინო ინსტრუმენტებით, საგნებით და მედიკამენტებით. ავტოპარკი განახლებულია და ემსახურებათ მაღალი გამავლობის 2 ავტომანქანა. 2018 წელს პაციენტებთან გამოძახებათა რაოდენობამ 2751 ერთეული შეადგინა.

სოციალური მომსახურება. მესტიის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცელთა ბაზაში დარეგისტრირებულია მოსახლეობის 38% ანუ 4134 პირი და სოციალური დახმარების მიმღებია 1315 ოჯახი, რაც თითქმის 2,5-ჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. მოსახლეობის 18% ანუ 2008 პენსიონერი და 155 შშმ პირია. მარჩენლის გარდაცვალების გამო პენსიას იღებს 124 პირი, სოციალური პაკეტის მიმღებია 501 პირი. მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 282 მრავალშვილიანი ოჯახი, 47 უსახლკარო და 76 ომის ვეტერანი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით 2019 წელს გაიხსნა სარეაბილიტაციო ცენტრი და მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლოს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის, ბავშვთა და ზრდასრულთა რეაბილიტაციის პროგრამებით, რაც ხელს შეუწყობს შშმ პირებს საზოგადოებაში ადაპტაციის საქმეში.

მესტიის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალური დახმარების პროგრამები, მათი ძირითადი ნაწილი ერთჯერად გასაცემლებს გულისხმობს თუმცა მუნიციპალიტეტის

ხელისუფლების ხედვაა სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა ნაცვლად ერთჯერადი დახმარებებისა.

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობა. საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული გარდაქმნების კვალდაკვალ მიმდინარეობს მუშაობა რეფორმების განხორციელებისთვის და შესაბამისი ბაზის შესაქმნელად.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა. მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 22 საბავშვო ბაღი (514 აღსაზრდელი), 24 საჯარო სკოლა (1491 მოსწავლე), 1 პროფესიული კოლეჯი (85 სტუდენტი), სკოლა-გიმნაზია (105 მოსწავლე) და სახელოვნებო სკოლა (56 მოსწავლე).

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა ბოლო ორი წლის განმავლობაში გაზრდილია 25 ერთეულით, ამ სისტემაში დასაქმებულია 158 პირი, აქედან 33 აღმზრდელ-პედაგოგია. (საბავშვო ბაღების ჩამონათვალი მოცემულია დანართი N- ში)

მესტიის მუნიციპალიტეტში 25 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა (1596 მოსწავლე), მათ შორის ერთი კერძო სკოლა-გიმნაზია (105 მოსწავლე) და 24 საჯარო სკოლა. საჯარო სკოლებში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა გაზრდილია 120 ერთეულით. საჯარო სკოლებში სულ დასაქმებულია 571 პირი, მათ შორის 436 პედაგოგია, მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში შემცირებულია 25 ერთეულით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 3,7, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსწავლეთა მატების ხარჯზე გაზრდილია 0,5-ით. (საჯარო სკოლების ჩამონათვალი მოცემულია დანართი N- ში)

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობის, განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის წარმატებით შესრულების მიზნით, ბოლო სამი წლის განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა. კეთილმოეწყო არსებული ინფრასტრუქტურა და დაიგეგმა ახალი ობიექტების მშენებლობა.

2015-2018 წლებში შეძენილი იქნა საპროექტო სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია 16 საბავშვო ბაღისთვის. აშენდა 7 ახალი საბავშვო ბაღი მიმდინარეობს 2 (ლატალის და ცხუმარის) ბაღის მშენებლობა და მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 2020 წელს აშენდება 5 საბავშვო ბაღი. ყველა ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტი შესაბამისობაშია თანამედროვე სტანდარტებთან და ნორმებთან, უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადაპტირებული ფიზიკური გარემოთი და განახლებული სასწავლო ინვენტარით, დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

2019 წელს გარემონტდა 6 საჯარო სკოლა (მესტიის N-2, კალის, მუჟალის, ლენჯერის, ლატალის და ფარის), მათ შორის სამი სკოლა გადაიხურა, ორში მოეწყო სველი წერტილებით ადაპტირებული გარემოთი და შემოიღობა მესტიის N-2 საჯარო სკოლის ეზო.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 2020 წელს დაგეგმილია ჭუბერისა და ყარსგურიშის სკოლების მშენებლობა, ბეჩოს საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთება. ასევე მიმდინარე რემონტი ჩაუტარდება სკოლებს საერთო ღირებულებით 590 ათ. ლარი.

კულტურისა და სპორტის სერვისები. მესტიის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის განახლებული თეატრი. ფუნქციონირებს 5 მუზეუმი, ახალგაზრდული გასართობი ცენტრი, ფოლკლორის ცენტრი და 3 სპორტული დარბაზი. აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა ილია გაბლიანის სახელობის მულახის სპორტული კომპლექსი.

მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობები სრულიად უნიკალურია და დღემდე შემორჩენილია X-XIII საუკუნეების 70-ზე მეტი ეკლესია ბაზილიკური ტიპის სალოცავი, საკულტო ნაგებობა (მათ შორის 39 ეკლესია) და 240 კოშკი. ეკლესიებზე შენარჩუნებულია ადრე შუა საუკუნეების ფრესკული მოხატულობა (იხ. დანართი).

2.6 გარემოს დაცვა

მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარ მდინარეს ენგური წარმოადგენს, მისი შენაკადებია ადიშის ჭალა, მულხურა, მესტია ჭალა, დოღრა, ნენსკრა, ხაიშურა და სხვა. მდინარე ენგური სათავეს იღებს მყინვარ ენგურზე ზღვის დონიდან 2 614 მ-ზე. მისი სიგრძე 213 კმ-ია, აუზის ფართობი 4060 მ². მდინარეები ენგური, მესტია ჭალა, ნენსკრა და სხვა საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ რესურს წარმოადგენენ.

მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულში 200-მდე მყინვარია, რომელთა საერთო ფართობი 285 მ²-ს შეადგენს, მათ შორისაა კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები: შხარა (5 201 მ), თეთნულდი (4 974 მ), უშბა (4 710 მ), შხელდა (3 820 მ).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 46.5% ტყეს უკავია და ტყის ფონდი 137.5 ჰა-ია. ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი დაქანების ფერდობებზეა განფენილი და გარდა სამრეწველო დანიშნულებისა ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქცია გააჩნიათ. ზღვის დონიდან 400-700 მ სიმაღლეზე გაბატონებულია შერეული ფოთლოვანი ტყე. 800 მ-დან გვხვდება სოჭი, რომელიც 1,700 მეტრამდე ტყის შემქმნელი სახეობაა. 1,700 მეტრიდან კი ვრცელდება სუბალპიური ტყეები. სატყეო მიწები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ არის.

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, მდ. ნაპირების ჩამორეცხვა და ეროზია. მათგან ყველაზე ხშირია მეწყერი, შემდეგ წყალდიდობა და ღვარცოფი, მდინარის ადიდების შედეგად ხდება მდინარისპირა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჩამორეცხვა და განადგურება. ბოლო წლებში დაიმეწყრა სოფლები: ჭუბერი, ბეჩო, ცხუმარი, ნაკრა, ივარი, წვირმი, მულახი, ლახამულა, ხაიში, ეცერი და დ.მესტია. ხშირად იმეწყრება დაბა მესტიაში გელოვანის, აღმაშენებლისა და ფირცხელანის ქუჩები, მთა ბანგურიანის ფერდობი, ქორულდის მთა. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის არა მარტო საცხოვრებელ სახლებს, არამედ სახნავ-სათეს ფართობებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა და მეწყერი თითქმის

ყველა სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებს და ხიდებს. ინერტული მასალის კარიერებთან ახლოს, მდინარის ნაპირების გასწვრივ, შეინიშნება მდინარის ნაპირების ეროზია/წარეცხვა, რის შედეგადაც ზიანდება გზები, ხიდები.

დიდ დასახლებებში საკანალიზაციო კოლექტორი არ არის და შესაბამისად არც წყალგამწმენდი ნაგებობაა, ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა ხის გადამამუშავებელი საამქროები, რომლებიც განლაგებულია მდინერეების ნაპირებთან ახლოს. მათგან ნახერხი ადვილად ხვდება მდინარეებში და იწვევს თევზის მარაგის შემცირებას (ილუპება თევზი).

